

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახური

აცხადებს კონსულტანტ-მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახური აცხადებს კონსულტანტ-მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში

ვაკანსიების რაოდენობა: 6

თანამდებობის /პოზიციის დასახელება	კონსულტანტ-მასწავლებელი
კატეგორია	☐ საშტატო ☒ შტატგარეშე
ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ხელფასი)	1250
დაფინანსების წყარო (აპარატი ან პროგრამული დაფინანსება)	„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“

ხელშეკრულების ხანგრძლივობა (ხელშეკრულების დაწყებისა და დასრულების თარიღი)	15.09.2017 – 31.07.2018
გამოსაცდელი ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
უშუალო ხელმძღვანელი მიუთითეთ თანამდებობა	„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ მენეჯერი
დაქვემდებარებული პირები	
თანამდებობის დანიშნულება / მიზანი თანამდებობრივი მოვალეობების ზოგადი აღწერა	
სამუშაო აღწერა (ძირითადი მოვალეობები)	1. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის ან კახეთის არაქართულენოვან სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად ; 2. ადგილობრივი მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი კურსით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება; 3. ადგილობრივი მასწავლებლების და პროგრამის დამხმარე მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (მეთოდური კურსის ჩატარება);

	4. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე; 5. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ქართული, როგორც მეორე ენაში დამატებითი მეცადინეობების ჩატარება; 6. ცენტრის მიერ განსაზღვრულ პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართვა; 7. არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა 8. პროგრამის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მომზადება და წარდგენა.
საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
მინიმალური განათლება მიუთითეთ განათლების ხარისხი და სპეციალობა, რომელიც აუცილებელია თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად	• სავალდებულო: კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან აკმაყოფილებს მინიმუმ ერთს: 1. უმაღლესი განათლება ნებისმიერი მიმართულებით და სერტიფიცირება ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI; VII-XII) ან ქართული, როგორც მეორე ენაში; 2. უმაღლესი განათლება ნებისმიერი მიმართულებით (მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი კურსი და ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი გამოცდის წარმატებით ჩაბარება ან ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგნობრივი გამოცდის წარმატებით ჩაბარება I-VI; VII-XII); 3. უმაღლესი განათლება მასწავლებლის კვალიფიკაციით და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგნობრივი გამოცდის წარმატებით ჩაბარება I-VI; VII-XII/ ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

სამუშაო გამოცდილება მიუთითეთ რამდენხნა და რა სახის სამუშაო გამოცდილება შეესაბამება თანამდებობას	
ცოდნა/კომპეტენცია მიუთითეთ რა კომპეტენციებია საჭირო ამ თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად (მაგ.: ორგანიზაციის მართვის, დაგეგმარების, მონიტორინგის, ანალიტიკური, კომპიუტერული ცოდნა და ა.შ.)	- სწავლების თანამედროვე მიდგომების ცოდნა; - ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის, კულტურისა და რელიგიის მიმართ; - ინკლუზიური განათლების პრინციპების ცოდნა; - ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - ანალიტიკური აზროვნების უნარი; - საქმიანობის ორგანიზების უნარი; - თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარი; - საოფისე კომპიუტერული პროგრამების მოხმარებისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარი.
სამართლებრივი აქტების ცოდნა	• საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის #36/ნ ბრძანება "ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ"; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის ბრძანება #1014 "მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" (ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის სტანდარტი)

ენების ცოდნა მიუთითეთ რომელი ენის ცოდნას და რა დონეზე მოითხოვს ეს თანამდებობა	
კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები	საოფისე კომპიუტერული პროგრამები: Word, Excel, PowerPoint, Internet.
დამატებითი მოთხოვნები	
დამატებითი ინფორმაცია	** სამივე შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია უმაღლესი განათლების ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო დამატებითი დოკუმენტაციის ველში საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ა) დიპლომის დანართის ასლი (მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი კურსის გავლის დასტურად); ბ) სერტიფიკატის ასლი; გ) საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა. (წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება)

** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე <https://www.hr.gov.ge/>

**განაცხადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 10 კალენდარული დღე;

** კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: 1. საკონკურსო განაცხადების განხილვა; 2. გასაუბრება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;

** შერჩეული კანდიდატები 2017-2018 სასწავლო წლიდან დასაქმდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის ან კახეთის არაქართულენოვან სკოლებში.